

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართში  
N5-ბარათი შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატებები:**

1. მე-19 პუნქტი დარედაქტირდეს და განისაზღვროს შემდეგნაირად:

„19. **ბანკომატმა** შესაძლებელია დააკავოს **ბარათი**“

2. მე-19 პუნქტს დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტები:

„19.1. **PIN კოდის** არასწორად შეყვანის შემთხვევაში;

19.2. არსებობს ექვი **მესამე პირის** მიერ **ბარათის** არამართლზომიერი გამოყენების შესახებ;

19.3. ლოკალური ან/და საერთაშორისო საგადახდო სქემის ინფორმაციის შესაბამისად არსებობს **ბარათის** მეშვეობით არაავტორიზებული **ოპერაციის** შესრულების რისკი;

19.4. არსებობს ლოკალური ან/და საერთაშორისო საგადახდო სქემის შესაბამისი მოთხოვნა **ბარათის** დაკავებასთან დაკავშირებით.“

3. დაემატოს მე-20 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

“20. **ბანკის ბანკომატის** მიერ დაკავებულ **ბარათთან** დაკავშირებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს ბანკის სერვის-ცენტრს ან **ტელეფონ ბანკს**. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ, **ბარათის ბანკომატის** მიერ დაკავებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში **კლიენტი** არ მიმართავს **ბანკს**, გამოყენების მიზნით (თუ **ბარათის** დაკავების მიზეზიდან გამომდინარე **ბარათის** გამოყენება შესაძლებელია), **ბარათის კლიენტისთვის** დაბრუნების თხოვნით, მაშინ **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე გააუქმოს **ბარათი**.”

4. დაემატოს პუნქტი 43 შემდეგი რედაქციით:

„43. **კლიენტის** მიერ **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის** დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში, წინამდებარე **დანართის 42 პუნქტის** პირობებთან ერთად, **კლიენტი** ვალდებულია გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

43.1. **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის** დახურვასთან ერთად გაუქმდება მასზე დაკავშირებული ყველა **ბარათი**;

43.2. თუ **განაცხადით** სხვა ვადა არ არის განსაზღვრული, **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის** დახურვის საპროგნოზო თარიღი შეადგენს **ბანკის** მიერ **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის** დახურვის შესახებ **კლიენტის** მოთხოვნის მიღებიდან 14 (თოთხმეტი) დღეს;

43.3. **კლიენტის** მიერ **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის** დახურვის მოთხოვნის მომენტიდან, **კლიენტი** კისრულობს ვალდებულებას, **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშთან** მიმართებით არ შეასრულოს **საბანკო ოპერაცია**;“

43.4. დასახური **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის** დახურვა განხორციელდება საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების **დანართი N2 - ანგარიშის მომსახურების პირობების** შესაბამისად.“

5. **61-ე პუნქტი** ამოღებულ იქნეს სრულად.

ზემოთ მოცემული პუნქტების დამატებიდან გამომდინარე, არსებული პუნქტების ნუმერაცია შეიცვალოს დარჩენილი პუნქტების თანმიმდევრობის შესაბამისად.